ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრები დამთავრდა, დღესასწაული ჩვენთან რჩება

თბილისიდან გაემგზავრნენ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი

— თან მიგვყვება საქართველოს მშრომელთა მიმართ მადლობისა და მადლიერების ყველაზე გულწრფელი გრძნობები გულითადი მასპინძლობისა და ყურადღებისათვის რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი, — თქვა რუსეთის სფსრ დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. მ. ჩეხარინმა. — ამ კვირამ ძალიან ბევრი რამ მოგვცა. ვნახეთ, თუ როგორ ცხოვრობს და შრომობს მოძმე საქართველოს ხალხი, როგორ ახორციელებს იგი სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობებს. კულტურის დღესასწაული რუსი და ქართველი ხალხების, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა.

რუსეთის სფსრ დელეგაცია 6 ოქტომბერს მოსკოვს გაემგზავრა. თბილისის აეროპორტში სტუმრები გააცილეს გ. ა. ანდრონიკაშვილმა, გ. დ. გაბუნიამ, გ. ნ. ენუქიძემ, დ. ლ. ქართველიშვილმა, ო. ე. ჩერქეზიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. შ. ჯანბერიძემ, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა.

(საქინფორმი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 193
(7504)

9
1983 წ.
ოქტომბერი.
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

ფიდე-ს კონგრესზე

მანილაში (ფილიპინები) მუშაობა დაამთავრა ფიდე-ს 54-ე კონგრესმა.

ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა გამოაცხადა, რომ პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებს უკვე გამოუჩნდა მასპინძლები. შეჯიბრების გამართვის სურვილი გამოთქვეს იუგოსლავიამ, ესპანეთმა, ინგლისმა, ავსტრიამ და ვენესუელამ. მან თქვა, რომ თავადაც აქტიურად მიიღებს მონაწილეობას მატჩების ორგანიზებაში. საპაექრო ადგილისა და დროის დაზუსტების მიზნით იგი მოეთათბირება მონაწილეებს, მათ ეროვნულ ფედერაციებსა და შეჯიბრებების მასპინძლებს. დასასრულს კამპომანესი ცენტრალურ კომიტეტს დაჰპირდა, რომ შეეცდება დააჩქაროს მატჩების დაწყება, რათა პრეტენდენტები წელსვე შეხვდნენ ერთმანეთს.

ფიდე-ს პრეზიდენტის განცხადებას, რომ აუცილებლად შედგება ვ. სმისლოვ-ზ. რიბლის და გ. კასპაროვ-ვ. კორჩნოის მატჩები, კმაყოფილებით შეხვდა ჭადრაკის სამყარო. ცენტრალური კომიტეტის სხდომის მონაწილენი ტაშითაც კი შეეგებნენ კამპომანესის ამ სამართლიან გადაწყვეტილებას.

აი, რა თქვეს „იზვესტიის" კორესპონდენტთან საუბარში ვ. სმისლოვმა და გ. კასპაროვმა.

— მიხარია, რომ ფიდე-ს პრეზიდენტის კამპომანესის გადაწყვეტილებამ ორივე მატჩი აღადგინა თავის უფლებებში. ამრიგად, ჭადრაკის სამყარომ მიიღო შესაძლებლობა თვალი ადევნოს სამატჩო ბრძოლებს. ეს გარემოება მილიონობით ჭადრაკის მოყვარულთა ინტერესებს პასუხობს, — თქვა სმისლოვმა. — ჩემი მეტოქე, ახალგაზრდა უნგრელი დიდოსტატი ზ. რიბლი ნიჭიერი მოჭადრაკეა. მან კარგად იცის თეორია და აგრესიული პოზიციური სტილით თამაშობს. ვიმედოვნებ, რომ მატჩი რიბლისთან საინტერესო იქნება.

— პრეტენდენტთა ამჟამინდელი ციკლი ორი ნახევარფინალური მატჩის გარეშე სრულყოფილი არ იქნებოდა. მიხარია, რომ ეს შეხვედრები შედგება. ახლა მხოლოდ წმინდა საჭადრაკო ხასიათის პრობლემის გადაწყვეტა დამჭირდება, — განაცხადა კასპაროვმა. ბოლოს დასძინა: — უდავოა, რომ მომავალი ნახევარფინალური მატჩი რთული იქნება. შევეცდები მომზადებული შევხვდე მას და კარგად ვითამაშო.

ცენტრალურ კომიტეტში გაგრძელდა სჯა-ბაასი იმის თაობაზე, რომ მსოფლიო პირველობის გათამაშების ციკლი განისაზღვროს არა სამი წლით, როგორც ამჟამად, არამედ ორით. ხმის უმრავლესობით ამ საკითხის განხილვა ფიდე-ს მომდევნო კონგრესამდე გადაიდო.

5 ოქტომბერს ფილიპინების კონგრესების საერთაშორისო ცენტრში გაიხსნა ფიდე-ს გენერალური ასამბლეა. 52 ქვეყნის წარმომადგენლებს მიესალმნენ ფ. კამპომანესი და დიდი მანილის ვიცე-გუბერნატორი ი. მატაი.

დიდი მანილის გუბერნატორმა, ფილიპინების ეკოლოგიისა და დასახლების მინისტრმა ი. მარკოსმა მალაკანიანგის სასახლეში დარბაზობა გაუმართა კონგრესის დელეგატებს.

დარბაზობის დროს ი. მარკოსი ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონებს მ. ჩიბურდანიძესა და ა. კარპოვს, საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებს. მინისტრმა ქალმა აღნიშნა ჩიბურდანიძისა და კარპოვის დიდი პირადი წვლილი ჭადრაკის განვითარებასა და პროპაგანდაში, მშვიდობის საქეთილდღეოდ მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში.

გენერალურმა ასამბლეამ გამოიტანა დადგენილება, რომ ქალთა XI და ვაჟთა XXVI საჭადრაკო ოლიმპიადები გაისად, შემოდგომაზე, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში გაიმართება.

შემდეგ კონგრესმენებმა განიხილეს ფიდე-ს თამაშის წესების, საინფორმაციო და საკლასიფიკაციო კომისიების ანგარიშები.

მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს მიეკუთვნა საერთაშორისო დიდოსტატის, ოსტატისა და არბიტრის წოდებები. მთლიანად დაკმაყოფილდა საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციის შუამდგომლობა.

საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიეკუთვნათ მოსკოველებს ვ. ალატორცევს და ა. კონსტანტინოპოლსკის (30-50 წლებში სპორტული მიღწევებისთვის), საერთაშორისო ოსტატის წოდება — ი. ელვესტს, ლ. ოლს, ა. ვეინგოლდს (სამივე — ტალინი), ა. ბუტნორიუსს (კაუნასი), ე. პიგუსოვს (კემეროვო), ს. დვოირისს (ჩელიაბინსკი), ნ. ზილბერმანს (ალმა-ათა), ფიდე-ს ოსტატის წოდება — ა. დრეევს (ჟელეზნოვოდსკი), ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატის წოდება — ა. გრინფელდს (კალინინგრადი), ნ. ალიოხინას (მოსკოვის ოლქი), საერთაშორისო არბიტრის წოდება — ა. ზახაროვს (სარატოვი), ი. კაბალევსკის და ვ. კოზლოვს (ორივე — მოსკოვი).

6 ოქტომბერს მოსკოვს გამოემგზავრა მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი. საკდესის კორესპონდენტთან ინტერვიუში მან თქვა, რომ კმაყოფილია კონგრესის საქმიანობით, რომელიც თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ამ ფორუმის შედეგები მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიო ჭადრაკში სადავო პრობლემებზე, რომლებიც უკვე დადებითად გადაწყდა, საღმა გონებამ გაიმარჯვა.

მიხაკები... წყალზე

●

პროფკავშირთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში

თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის საცურაო აუზში სამ დღეს მიმდინარეობდა პროფკავშირთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში.

სარბიელზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკის", „ტრუდის" (2 გუნდი), „ვოდნიკის", „კრასნაია ზნამიას", „კოლმეურნეს" ნაკრები კოლექტივები. უკონკურსოდ ასპარეზობდა აგრეთვე „განთიადის" გუნდი. სულ იასპარეზა 50-მდე სპორტსმენმა.

შთამბეჭდავი იყო მოსკოველი სპორტის ოსტატის, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონის ირინა პოტიომკინას („ბურევესტნიკი") გამოსვლა, რომელმაც მაყურებელთა სიმპათიები და... წითელი მიხაკები დაიმსახურა. ირინამ საკმაოდ მაღალი შეფასება — 168,95 ქულა მიიღო და დამაჯერებლად გაიმარჯვა. მომდევნო ადგილები მისმა თანაგუნდელებმა ელენა ოსიპოვამ და ტატიანა გუზეევამ დაიკავეს. ამ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — დებმა დინარა და ლარისა ლარინებმა შესაბამისად VI და VII შედეგი აჩვენეს, ხოლო ნანა პატარაია VIII ადგილს დასჯერდა. სამივე სპორტსმენი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" წევრია.

წყვილთა გამოსვლებში საპრიზო ადგილები კვლავ „ბურევესტნიკის" წარმომადგენლებმა დაიკავეს. პირველი პოტიომკინა — ოსიპოვას „დუეტი" იყო. დები ლარინები VI ადგილზე გავიდნენ. ნანა პატარაიამ და ლეილა მამიაურმა („კოლმეურნე") მეშვიდე შედეგი აჩვენეს.

ჯგუფურ ვარჯიშში, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ ტოლი არ ჰყავდათ ბურევესტნიკელებს. მეორე ადგილი დაიკავა „ტრუდის" პირველმა კოლექტივმა, მესამე — „კოლმეურნემ".

შეჯიბრების დასასრულს ვესაუბრეთ აბსოლუტურ ჩემპიონს **ირინა პოტიომკინას:**

— ასპარეზობა საუკეთესოდ ჩატარდა. თქვენი გუნდიდან განსაკუთრებით მომეწონა დები ლარინები და ნანა პატარაია. ვფიქრობ, რომ ახლო მომავალში მათ შეუძლიათ იბრძოლონ საპრიზო ადგილებისათვის საკავშირო პირველობებზე. ჩემი მთავარი მიზანია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა სპორტსმენების დღევანდელი დონე უკვე ისეთია, რომ ძალგვიძს ღირსეული მეტოქეობა გავუწიოთ მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს.

სიტყვა „ბურევესტნიკის" უფროს მწვრთნელს **მარინა მაქსიმოვას:**

— შეჯიბრება საინტერესო იყო იმითაც, რომ მასში ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები გამოდიოდნენ. ჩვენი გოგონები თბილისში ბიჭვინთიდან ჩამოვიდნენ, სადაც შეკრებაზე ვიმყოფებოდით. სასიამოვნოა, რომ ჩვენც შევიტანეთ თავისებური წვლილი საქართველოში რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის დღეებში, ჩვენი ხელოვნება ვუჩვენეთ თბილისელ სპორტისმოყვარულთ. თქვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში შესამჩნევად დახვეწეს გამოსვლები, განსაკუთრებით სავალდებულო პროგრამაში. მათ საკმაოდ რთული, ლამაზი პროგრამა აქვთ, რომელსაც სასიამოვნო ეროვნული მუსიკის თანხლებით ასრულებენ. გუნდის ლიდერებს ვუსურვებ კიდევ უფრო მეტ მუშაობას, რათა მაყურებლებს სრულად აჩვენონ მთელი ის მდიდარი კოლორიტი, რაც ქართველ ხალხს გააჩნია. დასასრულს მინდა აღვნიშნო თქვენი დიდებული საცურაო კომპლექსი, სადაც ყოველთვის იდეალური სისუფთავე და დისციპლინა იგრძნობა.

ლ. ხეცურიანი.

• • •



სურათებზე: ასპარეზობის მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● ჭადრაკი

ფინიშის სწორზე

ქუთაისი, 8 ოქტომბერი (ტელეფონით, „ლელოს" კორ.). სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ქუთაისის ნახევარფინალში მოეწყო XII ტური და გადადებული პარტიების თამაში.

XII ტურში თ. მინოგინამ დაამარცხა ტ. ფომინა, ც. ქასოშვილმა — ლ. კულიკოვა, თ. ხუგაშვილმა — ო. ლოპატინა. ყაიმზე შეთანხმდნენ ს. ბახარევა და ი. უმანსკაია. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

6 ოქტომბერს გადადებული 20 პარტიიდან დამთავრდა 15. ჰ. ლაგვილავამ პირველი მარცხი აწვნია კ. ბაგინსკაიტეს. ქასოშვილი დამარცხდა მინოგინასთან, ლაგვილავა — ლ. პიარნპუუსთან, ხუგაშვილი — ე. ხოროვეცთან. გ. სახატოვამ მოუგო ი. ჩელუშკინას, ი. სონმა — ბახარევას, ო. პედკომ — სახატოვას. ყაიმზე შეთანხმდნენ ბაგინსკაიტე — ბახარევა, უმანსკაია — პედკო, ხუგაშვილი — ჩელუშკინა, პედკო — სონი, ხუგაშვილი — მინოგინა, მინოგინა — ხოროვეცი, კულიკოვა — ხუგაშვილი, ლოპატინა — სონი.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ კ. ბაგინსკაიტე (ვილნიუსი) — 8 ქულა, ტ. ფომინა (ტალინი) — 6,5 (2), ც. ქასოშვილი (გორი) — 6,5 (1), ო. პედკო (ჩელიაბინსკი), ი. სონი (ლვოვი) — 6,5-6,5.

გუშინ მოჭადრაკეებს დასვენების დღე ჰქონდათ. ისინი ეწვიენ თერჯოლის რაიონს.

ლ. ფარჩუაშვილი.

აწმყო, შობილი წარსულისაგან...

მურთაზ ხურცილავა

თბილისის „დინამოს“ მაისური... ძალზე ხშირად ვამბობთ და ვწერთ ამ სიტყვებს. თუ რა ძვირფასია ეს სიტყვები, ამას ნათლად მოწმობს მურთაზ ხურცილავას ნაამბობი:

„— ჩემთვის ამქვეყნად არსებობს მხოლოდ ერთი „დინამო“ და შესაბამისად — „დინამოს“ ერთადერთი მაისური. ეს არის თბილისის „დინამო“, თბილისის დინამოელთა მაისური. ეს განსაკუთრებით ვიგრძენი მაშინ, როცა გუნდიდან წავედი და ქუთაისის „ტორპედოში“ დავიწყე თამაში. მატჩის წინ ჩვეულებრივ სარკეში ვიხედებოდი ხოლმე. ვერ წარმოიდგენთ, რა გრძნობა შემომენთო, როცა სხვა კლუბის მაისურში დავინახე ჩემი თავი. ამას ქუთაისელთა საწყენად როდი ვამბობ. „დინამო“ სულ სხვა გუნდი იყო ჩემთვის, ერთადერთი სიყვარული, ერთადერთი კოლექტივი, რომელშიც თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ოჯახში. ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო და, მით უმეტეს, სტუმართმოყვარე ქუთაისელებს, მაგრამ, ვფიქრობ, ისინიც და სხვებიც სწორად გამიგებენ: თხუთმეტი წლის მანძილზე მეცვა დინამოელთა მაისური. თხუთმეტი წელი, გატარებული საქართველოს საუკეთესო გუნდის შემადგენლობაში — ეს იყო განუმეორებელი, დაუვიწყარი წლები, ჩემი სიჭაბუკისა და გამარჯვებების სიხარულითა და სევდით აღსავსე წლები. რომ არ ყოფილიყო „დინამო“, არ იქნებოდა ჩემთვის არც ნაკრები, არც უდიდესი შეჯიბრებები, არ იქნებოდა ის, რაც ყველაზე მთავარი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ალბათ ყოველივე ეს გამახსენდა სარკესთან, როცა ერთბაშად აღმოვაჩინე, რომ მე „დინამოს“ მაისური აღარ მეცვა... ცხადია, გულუბრყვილობაა ეს, მაგრამ დამიჯერეთ, უკანასკნელ წუთამდე თითქოს ისევ დინამოელი ვიყავი. იმ მატჩში ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში ბაქოსთან ვთამაშობდი. გაოგნებულს არ მახსოვდა, როგორ დამთავრდა თამაში. ავტობუსში რომ ავედით, თანაგუნდელმა რეზო ჭოხონელიძემ მკითხა, ცუდად ხომ არა ხარო. პასუხის ნაცვლად შევეკითხე: ხომ არ იცი, თამაში რა ანგარიშით დამთავრდა-მეთქი. გაკვირვებით შემომხედა და ჩაილაპარაკა, ორით ორიო“...

მურთაზ ხურცილავასთვის „დინამოს“ მაისური იმაზე მეტს ნიშნავდა, ვიდრე მითხრა. ეს იყო მისთვის საოცნებო გუნდის თავისებური დროშაც და ემბლემაც. ერთგვარი რელიკვიაც, რომელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და, როგორც შემდეგ გაირკვა, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის საინტერესო ისტორია. მან, ბანძელმა ყმაწვილმა, ბევრჯერ ითამაშა „დინამოში“, ბევრჯერ ჩაიცვა სახელოვანი კლუბის მაისური, ვიდრე „დინამოს“ შემადგენლობაში ჩაირიცხებოდა. ეს იყო მის წარმოდგენაში. ყოველი ფანტაზია მას უხატავდა ლეგენდარული გუნდისა და ლეგენდარულ ფეხბურთელთა სახეებს, ახლოდან ეს სახეები კი არ გაფერმკრთალდა, არამედ პირიქით, ახალგაზრდა, დამწყებ ფეხბურთელში საოცარი ენთუზიაზმი და მონდომება წარმოშვა.

მაგრამ მანამდე, „დინამომდე“, იყო უცნობი ხურცილავა, ჩვენთვის, გულშემატკივრებისთვის, რასაკვირველია.

„— ბანძაში ვთამაშობდი ველურ ფეხბურთს. მერე ამიყვანეს გეგეჭკორის „სალხინოში“. ხან ნახევარდაცვაში მაყენებდნენ, ხან თავდასხმაში. მაშინ მეცხრე კლასში ვიყავი. „სალხინო“ ზუგდიდის „დინამოს“ ეთამაშებოდა საქართველოს თასზე. ამ თამაშს უყურებდა დავით ცომაია. ეტყობა, მისი ინფორმაციის შემდეგ, ერთი კვირაც არ გასულა, დამიძახეს სოხუმში, სადაც ანდრო ჟორდანია ხალხს არჩევდა „დინამოსთვის“. ამ შეკრებაზე, სხვათა შორის, ჩემთან ერთად იყვნენ გიორგი სიჭინავა, გურამ პეტრიაშვილი, როინ კვასხვაძე... ესენი მახსოვს. გადაჭრით არაფერი უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ გასინჯვის შემდეგ მითხრეს, გამოგიძახებთო. 1960 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ამიყვანეს საქართველოს ნაკრებში, რომლის მწვრთნელი იყო ნიაზ ძიაფშიპა. მაშინ პირველად ვიგრძენი ნამდვილი მწვრთნელის ხელი. მანამდე როგორც მინდოდა, ისე ვთამაშობდი. მოსწავლეთა ნაკრებში ნახევარმცველი ვიყავი. მოხდა ისე, რომ ჩვენი ცენტრალური მცველი დაიმტვრა. ძიაფშიპამ იკითხა, რომელი შეცვლითო. თავი არავინ გამოიდო და ბოლოს მე ვიკისრე დაშავებული ამხანაგის შეცვლა. ასე ინება განგებამ ჩემი ცენტრალური მცველად დაყენება და მას შემდეგ სულ ამ ადგილზე ვთამაშობდი. იმ მატჩის შემდეგ ნიაზმა შემაქო, რჩევა-დარიგებებიც მომცა. გუშინდელ დღესავით მახსოვს. მერე მალე მიმიწვიეს საკავშირო ჭაბუკთა ნაკრებშიც.

დაუკვირდით, „დინამო“ უკვე ახლოს არის, თუმცა ახალბედა ფეხბურთელმა ჯერ არ იცის ამის შესახებ. „დინამო“ კვლავ რჩება მისთვის არა მარტო საოცნებო, არამედ მიუწვდომელ გუნდადაც. 1960 წელი. 17 წლის ფეხბურთელი საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში გამოდის სანრემოს საერთაშორისო ტურნირში. მასთან ერთად ამ გუნდში თამაშობს გიორგი სიჭინავაც. მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ წინ არის.

„— 1961 წელს დაპირებისამებრ გამომიძახეს გაგრაში, სადაც „დინამო“ ახალი სეზონისათვის ემზადებოდა. ჩემი ჩასვლა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა საკონტროლო მატჩს დაემთხვა. ანდრო ჟორდანიამ სათადარიგო შემადგენლობაში შემიყვანა. ძალიან ცუდი ამინდი იყო, გადაუღებლად წვიმდა. ავტობუსში ვისხედით და იქიდან ვუყურებდით შეხვედრას. შესვენებაზე ჟორდანიამ გაარჩია თამაში. მეც ყურდაცქვეტილი ვუსმენდი. ერთბაშად მომიბრუნდა და მკითხა: ხომ არ გეშინიაო. ჩემთვის ჩუმად ჩავილაპარაკე, რისი უნდა მეშინოდეს-მეთქი. თუ არ გეშინია, ახლა ითამაშებო. თან არავითარი რჩევა არ მოუცია, ერთი კი მითხრა — მარჯვენა მცველად ითამაშეო.

ძალიან გამიხარდა. ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ თვით „დინამოს“ მაისური ჩავიცვი. დაბნეული ვიყავი, მიჭირდა დაჯერება, რომ მოედანზე გავედი შოთა იამანიძესთან, გივი ჩოხელთან, ზაურ კალოევთან, მიხეილ მესხთან, ვლადიმერ ბარქაიასთან და სხვა ფეხბურთელებთან ერთად. მხოლოდ თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მოვედი გონს. ერთი საფიქრალი მქონდა: სირცხვილი არ მეჭამა როგორმე. რაც მართალია, მართალია, ძალიან მოვინდომე და ალბათ ის მონდომება საერთოდ დამებედა კიდეც. თამაშის შემდეგ ქებაზე მეტად ძუნწმა ჟორდანიამ დაყვავებით მითხრა: დიავოლ, ასე თუ გააგრძელე თამაში, ვფიქრობ, რაღაცას მიაღწევო. ფეხბურთელებიც კმაყოფილი იყვნენ ჩემით. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, „დინამოში“ პირველად თამაშისა და ამდენი ქების მოსმენის შემდეგ, თანაც იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც ვაღმერთებდი, რა მდგომარეობაში ვიქნებოდი. იმ დღიდან „დინამო“ უფრო შემიყვარდა, ვერც წარმომიდგენია თუკი შეიძლება რომელიმე გუნდის ასე შეყვარება. ამას ახლა უფრო მძაფრად ვგრძნობ, ვიდრე ოდესმე...“

„დინამოსა“ და ნაკრების კაპიტნის ეს სიტყვები განსაკუთრებით საგულისხმოა ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის, რომლებსაც დღეს-ხვალ საქართველოს უპირველესი გუნდის ღირსების დაცვა დაეკისრებათ. „დინამოში“ ხურცილავა ისეთი მოწიწებითა და სიყვარულით მოვიდა, როგორც ჭეშმარიტი მორწმუნეები შედიან ღვთის ტაძარში. საერთოდ, ნებისმიერი ფეხბურთელი სწორედ ასე უნდა მოდიოდეს „დინამოში“, სწორედ ასეთივე გრძნობა უნდა ეუფლებოდეს, როცა დიდი გუნდის მაისურს იცვამს.

... მურთაზ ხურცილავას ელვარე ნიჭმა მალე იპოვა შესაფერისი კალაპოტი. თუმცა, ერთ ხანობას იგი ეძებდა თავის კუთვნილ, სტაბილურ ადგილს. ჯერ მარჯვენა მცველად თამაშობდა, შემდეგ რამდენიმე მატჩში შოთა ხოჭოლავას ადგილი დაიკავა დაცვის მარცხენა ფლანგზე, სათადარიგო შემადგენლობაშიც მოუხდა თამაში. ყოველივე ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

„ —1961 წლის სეზონის დამთავრების შემდეგ „დინამო“ სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა. გუნდს გამოაყოლეს მიხეილ იაკუშინი. ტურნეს მატჩებში ცენტრალური მცველის ადგილზე ვითამაშე. ეტყობა, ურიგოდ არ მითამაშია. იაკუშინმა თქვა: „დინამომ“ გადაწყვიტა ცენტრალური მცველის პრობლემა, ახლა გუნდში გყავთ ხურცილავაო. შემდეგ წელიწადს იაკუშინი ჩვენთან მწვრთნელად მოვიდა. იმავე წელს მოვხვდი ოლიმპიურ ნაკრებში. სწორედ მაშინ შეიქმნა წყვილი — ჩემი და ალიკ შესტერნიოვისა“.

მურთაზ ხურცილავა ძალიან სწრაფად და იოლად (მართლა იოლად, თუ ეს სინამდვილე მოჩვენებითია?) მოერგო არა მარტო თბილისის „დინამოს“, არამედ სხვადასხვა ყალიბის ნაკრებ გუნდებსაც. ზოგჯერ მოვლენები მისგან დამოუკიდებლადაც კი ვითარდებოდნენ.

„— 1964 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ მოსკოვში გამომიძახეს. სპორტკომიტეტში წარმადგინეს ერთ უცნობ კაცთან. მეკითხება, მიცნობ თუ არაო. მე ვუპასუხე, არა-მეთქი. აბა, ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე ბესკოვი ვარ, ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ევროპის პირველობისთვის ქვეყნის მთავარ გუნდში შეგიყვანეთო. იმ წელს არათუ ნაკრებში, თბილისის „დინამოშიც“ ფაქტიურად გამიცდა სეზონი ტრავმის გამო. ექიმებმა შვიდი თვით ამიკრძალეს თამაში. ყველაზე მეტად იმან დამწყვიტა გული, რომ „დინამოსთან“ ერთად ჩემპიონის ოქროს მედალი ვერ მივიღე. ეს ხომ ჩვენი გუნდის პირველი გამარჯვება იყო საკავშირო ჩემპიონატებში. თითქოს რაღაც დანაშაულის გრძნობაც კი გამიჩნდა უნებურად. ერთ თვეს ვმკურნალობდი მოსკოვში მირონოვასთან. წლის ბოლომდე გამომიშვა კლინიკიდან, მერე მოხვალ ჩემთან და გეტყვი, საოპერაციო გექნება ფეხი თუ არაო. გულის კანკალით ჩავედი მოსკოვში დათქმულ დროზე ერთი დღით ადრე. ვიდრე მირონოვასთან გამოვცხადდებოდი, კოშმარული ღამე გავათენე. საუკუნედ მეჩვენა ის ღამე.

დილაადრიან მივედი მირონოვასთან. რამდენიმე საათს ველოდე. ბოლოს ექიმმა გამსინჯა და მითხრა: ახლა არაფერი გიჭირს, წადი და ითამაშეო.

კლინიკიდან სასტუმრომდე თითქმის თხუთმეტი კილომეტრი ისე გავიარე, არც კი გამიგია“.

მურთაზ ხურცილავას მთელი კარიერის მანძილზე თან სდევდა გაუთავებელი ტრავმები. ამ ჯან-ღონით სავსე ფეხბურთელს თავი არ ეცოდებოდა, მუდამ მოედნის იმ წერტილისკენ მიიწევდა, სადაც შეუბრალებელი, უშეღავათო ბრძოლა იყო გაჩაღებული. ბრძოლა — აი, ის სიტყვა, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მურთაზ ხურცილავას, ამ ჭეშმარიტი მებრძოლის ნამდვილ სახეს. ოღონდ, ეს არასდროს ყოფილა გლადიატორის ბრძოლა. ხურცილავა არასოდეს დამსგავსებია ესპანელ ზოკოს, „პოლიციელს“ რომ ეძახდნენ. წარმოსადეგი ფიგურისა და თამაშის ათლეტური მანერის მიუხედავად, იგი პლასტიკური, ზედმიწევნით მოქნილი, შეიძლება ითქვას, „მფრინავი“ ფეხბურთელი იყო. ხოლო ყოველი მისი ჩაჭრა ნამდვილი საკალათბურთო ხელოვნების ნიმუშად შეიძლებოდა მიგვეჩნია. ხურცილავას მაღალი ტექნიკა და საფეხბურთო ინტელექტი ვერ ეგუებოდა უხეშობას, თუმცა მას უყვარდა და კარგადაც გამოუდიოდა ჯარიმის ზღვარზე თამაში. და მაინც, მურთაზ ხურცილავას აზრით, ტექნიკური ფეხბურთელი ჯარიმას იშვიათად უნდა ღებულობდეს. რაც შეეხება ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში პორტუგალიის ნაკრებთან საბჭოთა გუნდის საბედისწერო მატჩს, სადაც ხურცილავა და მასთან ერთად კოლექტივი თერთმეტმეტრიანი საჯარიმოთი დაისაჯა, ის მურთაზისთვის დღემდე გამოცანად რჩება.

„ — ჩვენ შეგვეძლო ის მატჩი მოგვეგო. პენალტი შემთხვევითი იყო. დღემდე მიჭირს მიზეზის დადგენა. თითქოს არავითარი საშიშროება არ ჩანდა. ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ არსებობს რაღაც წინათგრძნობა. მატჩის დღეს, დილით, გიორგი სიჭინავას გადავულაპარაკე, გული რაღაც ცუდს მიგრძნობს, ვაითუ დღეს საჯარიმოში ხელით ვითამაშო-მეთქი (ერთ ოთახში ვცხოვრობდით). ღმერთი არ გაგიწყრეს. თავი დაანებე ამაზე ფიქრსო, — მიპასუხა მეგრულად და უდარდელად გაიცინა. რა თქმა უნდა, ჩემი სიტყვები მას სერიოზულად არ მიუღია, ხუმრობად ჩათვალა. მე კი პენალტზე ფიქრი ამეკვიატა და ველარც მოვიშორე... თითქმის ორმეტრიან ტორესთან ბრძოლა ადვილი არ იყო, მაგრამ იმ პენალტამდე მას ბევრი არაფერი გაუკეთებია მინდორზე... რაც იყო, იყო, ნუგეშად ისღა დამრჩა, რომ გუნდთან ერთად ბრინჯაოს მედალი მივიღე“.

სხვათა შორის, მურთაზ ხურცილავა ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი აქვს მიღებული. ცხადია, არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ოქროს მედლის კომპენსაციად, ურომლისოდაც დარჩა იგი 1964 წლის საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ. მართლაც, რა საწყენია, რომ დინამოელთა იმ თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვერ გახდა, თუმცა უთუოდ იყო ამ ჯილდოს ღირსი.

საერთოდ, მურთაზ ხურცილავას საოცარი ბიოგრაფია არგუნა ფეხბურთმა. ჩვენ მას დრამატულს ვუწოდებდით. ფეხბურთმა იგი აღაზევა, უაღრესად პოპულარული გახადა ჩვენშიც და უცხოეთშიც, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ეროვნული გუნდის კაპიტნად აქცია, მაგრამ დიდ სიხარულთან და აღიარებასთან ერთად ბევრი წუხილი და განცდებიც მოუტანა.

ეს მოგვიანებით იქნება დრამა, რომელიც საფეხბურთო სამყაროში მითქმა-მოთქმას გამოიწვევს და ათასი ჯურის მოლაყბეს სალაპარაკოსა და საქირქილოს გაუჩენს. ეს იქნება მოგვიანებით, მანამდე კი...

„— ძალიან მინდოდა მეთამაშა იმ მატჩში, რომელიც სამუდამოდ დაამახსოვრდათ მის მონაწილეებსა და მაყურებლებს. ეს ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ საბჭოთა კავშირ-ბრაზილიის 1965 წლის შეხვედრაში პელე გამოდიოდა. მატჩს ტრიბუნიდან ვუყურებდი. მართალი გითხრათ, ვერ წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა ფეხბურთის ასე კარგად თამაში (ბრაზილიელებს ვგულისხმობ). ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ბრაზილიის დიდი გუნდის საოცარი დისციპლინა. მატჩის დამთავრებას შვიდი-რვა წუთი აკლდა. ამ დროს ბრაზილიის კარში დაინიშნა საჯარიმო. ეს საჯარიმო ველარ იმოქმედებდა თამაშის ბედზე — ბრაზილიელები დიდი უპირატესობით იგებდნენ. მიუხედავად ამისა, საჯარიმოს დანიშვნისთანავე ბრაზილიელთა ყველა მოთამაშემ აღმართა ცოცხალი კედელი. პელემ თითქმის სამოცი მეტრი ირბინა, რათა ამხანაგებს შეერთებოდა და საკუთარი კარი დაეცვა. მაშინ გავიფიქრე, რომ ნამდვილი ვარსკვლავი, დიდი ფეხბურთელი არც ერთ სიტუაციაში არ უნდა თაკილობდეს შავ სამუშაოს...“

ხურცილავას ეს განცხადებაც დიდად საგულისხმოა. ის მაშინაც თითქოს თამაშის მონაწილე იყო, როცა მინდორზე არ გამოდიოდა და ჩვეულებრივი მაყურებელივით ტრიბუნაზე იჯდა. ასე იქცევა ყველა ჭეშმარიტი ფეხბურთელი. როცა დიდ ფეხბურთს თამაშობ, არ შეიძლება მას მთელი არსებით არ მიეცე. ეს არ იქნება პროფესიული მიდგომა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მურთაზ ხურცილავა პროფესიონალი იყო, რადგანაც ფეხბურთს თამაშობდა შეგნებულად, უპირველეს ადგილს უთმობდა და ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიამეს ელეოდა მისი გულისათვის. არავის უნახავს იგი ნასვამი, სიგარეტით ხელში. ეს ყველაფერი მან აუკრძალა საკუთარ თავს. არავის გაუგია, რომ მას ოდესმე დაერღვიოს რეჟიმი. რაც შეეხება ვარჯიშს... აქ მინდა გავიხსენო ერთი ჩემი მეგობრის ნაამბობი:

— „დინამო“ ოფიციალური საერთაშორისო მატჩისთვის ემზადებოდა. მე დავესწარი დიღომში ერთ-ერთ ვარჯიშს. ყველაზე მეტად ხურცილავა იყო მოწადინებული. მისი მონდომება ამხანაგებსაც გადაედო. დამთავრდა ვარჯიში, მაგრამ ხურცილავა მოედანზე დარჩა, უფრო სწორად, კარში ჩადგა და რაღაც ფანტასტიკური ნახტომით, ნამდვილი მეკარესავით, ოღონდ ხელების დაუხმარებლად იგერიებდა ძლიერად დარტყმულ ბურთებს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი არ ინდობდა საკუთარ თავს. ცდილობდა, თავს არ ზოგავდა, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა საპასუხისმგებლო მატჩს“.

ასეთი იყო ხურცილავა ყველა ვარჯიშზე, ყველა მატჩში. თუ ვარჯიში მაინც საფეხბურთო კულუარებში მიმდინარეობს, მატჩებს ხომ ათასობით მაყურებელი ესწრება. ხურცილავა არავის უნახავს ინერტული, დონჯშემოყრილი, პასიური. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კარგად იყო თუ შეუძლოდ გრძნობდა თავს, მინდორზე იგი მუდამ ერთნაირი მონდომებით, ერთნაირი ენთუზიაზმით თამაშობდა. ასე იყო, მაგალითად, მოსკოვში ბრაზილიასთან მატჩის მესამე დღეს, როცა მურთაზ ხურცილავა დარაჯად დაუყენეს ფეხბურთში ხელახლად დაბრუნებულ ედუარდ სტრელცოვს.

„— დიდი აჟიოტაჟი იყო იმხანად სტრელცოვის გარშემო. დაუჯერებელ ამბებს ყვებოდნენ მისი უნარისა და ოსტატობის შესახებ. მე პირველად უნდა მეთამაშა მის წინააღმდეგ. თამაშმა დაადასტურა, რომ ეს იყო ძალიან ძლიერი ფეხბურთელი, თუმცა იმ დღეს, მე ვფიქრობ, სტრელცოვმა ბევრი ვერაფერი გააკეთა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1. მატჩს უყურებდა ნაკრების მწვრთნელი მოროზოვი. კმაყოფილი დარჩა ჩემი თამაშით და იმ დღიდან ჩავირიცხე ნაკრებში.

იმავე წელს ვითამაშე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საბერძნეთთან. ეს იყო ჩემი დებიუტი ნაკრების შემადგენლობაში. მოვიგეთ 4:0. მახსოვს იაშინმა მატჩის შემდეგ გასახდელში ხელი გადამხვია და მითხრა: შენ ნამდვილად შეგიძლია დიდი ფეხბურთი ითამაშოო“.

თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ხურცილავამ მრავალი დიდი ფეხბურთელის წინააღმდეგ ითამაშა. ეს იყო მუდამ ღირსეულ მეტოქეთა ორთაბრძოლები. ხურცილავას არასოდეს არ შეუტანია დისონანსი თამაშში, იგი იყო უმაღლესი დონის საფეხბურთო სპექტაკლების ბრწყინვალე მონაწილე. ბედმა [illegible] მწვანე მინდორზე შეხვედროდა თვით პელეს და [illegible] ეჩვენებინა მისთვის როგორც მეტოქეს, უბრალოდ, [illegible] ფეხბურთის ნამდვილ გურმანს.

„— 196[illegible] წლის მიწურულს ბრაზილიაში ვიყავით. ბედნიერება მხვდა წილად, რომ პელეს წინააღმდეგ ვითამაშე. საერთოდ, მისი გამოთიშვა თამაშიდან არავის შეეძლო. ოცდათხუთმეტი წუთის მანძილზე ერთი საფიქრალი მქონდა (იმ მატჩში მეორე ტაიმის მეათე წუთზე გამომიყვანეს): როგორმე სხვა მცველებზე უკეთ მეთამაშა. პირველი ტაიმი ჩვენმა ნაკრებმა წააგო 2:0. მატჩი კი დამთავრდა ფრედ — 2:2 არ ვიცი, როგორ ვითამაშე, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენს კარში ბურთი რომ არ გასულა, ეს არ უნდა იყოს ურიგო შედეგი.

საერთოდ ვინც მინახავს, ყველა ფეხბურთელს შორის საუკეთესონი იყვნენ პელე და გარინჩა. რაც მათ შესახებ წამიკითხავს პრესაში, ყველაფერი სიმართლეა. სხვა უცხოელ ფეხბურთელებზე კი ამას ვერ ვიტყვი. მათ უფრო ფართო რეკლამას უწევენ, ვიდრე ღირსნი არიან“.

ფეხბურთი ყველას უყვარს, მაგრამ არსებობს ფანატიკური სიყვარული, რაც ჭეშმარიტი ფეხბურთელის ბიოგრაფიას წითელ ზოლად უნდა გასდევდეს. სწორედ ასეთ ფეხბურთელად მესახება მურთაზ ხურცილავა, რომელმაც საყვარელ თამაშს შესწირა ყოველივე, გასცა ყველაფერი, რისი გაცემაც შეეძლო. ზოგიერთი ანგარიშიანი ფეხბურთელივით მას არ დაუზოგავს დრო და ენერგია — მას, ნაკრების კაპიტანს მთელი ოთხი წლის მანძილზე, მას, დინამოელთა დიდი თამაშის ნაცად და აღიარებულ თავკაცს, მას, ვისაც არ შეეძლო უგულოდ თამაში.

ნომინალურად ხურცილავა ცენტრალური მცველი იყო „დინამოშიც“ და ნაკრებშიც. მაგრამ ნომინალური ფაქტიურს არ ნიშნავს. მისთვის არ არსებობდა მოედნის ერთი რომელიმე მონაკვეთი, იგი მინდორს აღიქვამდა, როგორც ერთ მთლიან ბრძოლის ველს, სადაც სრულიად განსხვავებული ფუნქციები უნდა შეესრულებინა. ხურცილავას გამოჩენა თავდასხმის წინა ხაზზე თუ შუა მინდორში ისევე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც საკუთარი კარის წინ თამაში. დაცვაში ისეთსავე აზარტს აქსოვდა, როგორსაც ნახევარდაცვასა და თავდასხმაში. ამ კომბინაციური სტილის, რთულ საფეხბურთო სიტუაციებში [illegible] და გონებამახვილ ფეხბურთელს ჰქონდა დამანგრეველი ძალის იერიშის უნარი. მას თანდაყოლილი ინტუიცია ჰქონდა, ათასჯერ შემოწმებული, მრავალგზის აპრობირებული. [illegible] თვისების წყალობით იგი მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის ჩაშლის იშვიათ ოსტატად და ორგანიზატორად წარმოგვიდგებოდა. იგი შეუმცდარი გუმანით გრძნობდა, სად აღმოჩნდებოდა ბურთი და მეტოქე, როდის გასულიყო ჩამოწოდებული ბურთის ჩასაჭრელად, საჯარიმო მოედნის რომელი მისადგომი გადაეკეტა, კონტრიერიშის რომელი მიმართულება ეარჩია. მას არ შეეძლო გულგრილად, მოწმესავით ეყურებინა რთულ სიტუაციაში მყოფი პარტნიორისათვის და თავისებური „სასწრაფო დახმარების“ ფუნქციებსაც ასრულებდა. იმდროინდელ ფეხბურთში (საერთაშორისო სტანდარტებს ვგულისხმობთ) ბევრი როდი გაუტოლდებოდა მას თამაშის რიტმის მონაცვლეობით.

ხურცილავა იმედი იყო გუნდისა და მაყურებლისა. მოედანზე მისი ყოფნაც კი სასიკეთოდ მოქმედებდა კოლექტივზე. არავის — ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვიხსენებ — არ დაუჩაგრავს იგი თამაშის კლასით. ალბათ მის ბიოგრაფიაში იყო საშუალო დონის მატჩებიც, მაგრამ სუსტად არასოდეს უთამაშია. ეს არის სწორედ სტაბილური კლასი, მაღალი კლასი, რომელიც მხოლოდ ოსტატობით არ მიიღწევა. საამისოდ საჭიროა ფეხბურთელი იყოს პიროვნებაც, ისეთი, რომელიც გავლენას ახდენს თანაგუნდელებზე და თავისი ორგანიზატორული ნიჭით წარმართავს თამაშის პროცესს. ამ აზრით, ხურცილავა განეკუთვნება უიშვიათესი ფეხბურთელების კატეგორიას.

მისი კარიერა დრამატულად დასრულდა. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი გახდა საფეხბურთო ინტრიგების მსხვერპლი. ფეხბურთელი, რომლის „მომრევიც“ მწვანე მინდორზე არავინ იყო, სუბიექტური კოლიზიების ლაბირინთში დაიბნა. ბევრი მომხრე განუდგა მას იმ დროს, როცა განსაკუთრებით სჭირდებოდა მხარის დაჭერა.

მაინც რამ წარმოშვა ის კონფლიქტი, რომელმაც საყვარელი გუნდი დატოვებინა ამ დიდი სახელის მქონე ფეხბურთელს? ნუ ჩავეძიებით დეტალებს, ნიუანსებს, ნუ დავასახელებთ კონფლიქტის მონაწილეთა გვარებს. დღეს ალბათ ეს აღარც არის აქტუალური, გაცილებით მნიშვნელოვანია ამ ამბის ზნეობრივი ასპექტი.

იმათ, ვინც მურთაზ ხურცილავას ებრძოდა და გუნდიდან მის გაშვებასაც კი მოითხოვდა, არ ამოძრავებდათ ქართული ფეხბურთის ინტერესები, თუმცა სიტყვით ამას ამტკიცებდნენ. მათ შეთხზეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ვერსია, თითქოს ხურცილავა „დინამოში“ ისეთი ძალით არ თამაშობდა, როგორითაც ნაკრებში, თითქოს იგი პარტნიორების მიმართ ლოიალური არ იყო, თითქოს... თუმცა, ჯობს აქ შევაჩეროთ ამ უმართებულო ბრალდებების ნიაღვარი.

ეს განსაცდელი, ეს დრამა მარტო ხურცილავას არ გადახდენია. სამწუხაროდ, ასეთი რამ ხდება არა მარტო ფეხბურთში. ჩვენ მკაცრად ვგმობთ კორუფციას, პროტექციონიზმს, სიხარბეს, ქორიკანობას, მაგრამ რატომღაც უმადურობას, შურიანობას ჩვეულებრივ ადამიანურ სისუსტედ მივიჩნევთ. არადა, ხშირად ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების სახელის გარშემო სწორედ შურიანებისა და უმადურების მცდელობით იქმნება არაჯანსაღი აჟიოტაჟი, რომელსაც კვებავს თითიდან გამოწოვილი ვერსიები, დაუჯერებელი ამბები. ხელოვნურად იჩქმალება ამაგდარი ადამიანის მრავალწლიანი ნაღვაწი, სამაგიეროდ, ზვიადებენ უმნიშვნელო სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, რომელთა გარეშე ჯერ არც ერთი ადამის ძე არ დაბადებულა.

ხურცილავას დრამა მარტო მისი დრამა არ ყოფილა. ეს იყო მთელი ჩვენი ფეხბურთის დრამა, რომელიც მწვავედ განიცადეს ჭეშმარიტმა გულშემატკივრებმა. მას შეეძლო დარჩენილიყო გუნდში, მაგრამ თავისი ნებაყოფლობითი წასვლით კვლავ სამსახური გაუწია ფეხბურთს და ასე ჩააქრო კონფლიქტის კერა.

„დინამო“ მისთვის დღესაც ისეთივე საყვარელი გუნდია, როგორიც ოდესღაც მეოცნებე ბანძელი ყმაწვილისათვის იყო. არა მგონია, ამჟამად ამ გუნდს მურთაზ ხურცილავაზე გულწრფელი გულშემატკივარი ჰყავდეს.

არჩილ ბოგელია.

დღეს ლუჟნიკში...

დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის უმნიშვნელოვანესი მატჩი სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებს სავსებით აძლევთ ხელს ფრე, პოლონელებს კი უკან დასახევი გზა აღარა აქვთ, მათ მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლონ.

პოლონელები ამ მატჩისთვის მზადებას შეუდგნენ 2 ოქტომბერს მწვრთნელების ა. პეჩნიჩეკისა და ბ. ბლაუტის ხელმძღვანელობით. ა. პეჩნიჩეკი გუნდში კარგა ხანია მუშაობს და განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში დიდ წარმატებასაც მიაღწია (III ადგილი), ბ. ბლაუტი კი ნაკრებისათვის შედარებით ახალი ფიგურაა, ბოლო 2 წლის მანძილზე მუშაობდა ტუნისში, სადაც სათავეში ედგა „ოლიმპიკ დე ტრანსპორტს“ (სხვათა შორის, ამ ქვეყნის ნაკრებს ახლა პოლონელი სპეციალისტი, ნაკრების ყოფილი მწვრთნელი კულეშა ხელმძღვანელობს).

ა. პეჩნიჩეკმა და ბ. ბლაუტმა შეარჩიეს 18 უძლიერესი ფეხბურთელი. გუნდიდან წავიდნენ ცნობილი ოსტატები ჟმუდა, იანასი, შარმახი, ლატო, სერიოზული ტრავმის გამო ვერ თამაშობენ სმოლიარეკი და ციოლეკი. გადახალისდა გუნდის ყველა რგოლი.

თავისი უკანასკნელი ოფიციალური მატჩი პოლონეთის ნაკრებმა, საკმაოდ ექსპერიმენტული შემადგენლობით, 7 სექტემბერს კრაკოვში, რუმინეთის ნაკრებთან გამართა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2, პოლონელთაგან ბურთები გაიტანეს ციოლეკმა და ივანმა (11-მეტრიანი დარტყმით). ვარშავის ჟურნალ „პილკა ნოჟნას“ მიმომხილველ რ. ჰერკოვსკის მოწმობით, გუნდში ამ დღეს მრავალი სუსტი ადგილი იყო, თუმცა მოსკოვის მატჩისათვის მისი შემადგენლობა საგრძნობლად გაძლიერდა.

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც მოსკოვის მატჩისათვის ემზადებიან. მეკარე მლინარჩიკი ჩინებულად ასპარეზობდა მსოფლიო ჩემპიონატში და ახლაც თანაბრად, საიმედოდ თამაშობს. სათადარიგო მეკარეა ვანძიკი.

პოლონელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ნაკრების დაცვა და შუა ხაზი საკმაოდ ძლიერია. დაცვაში მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებთან ერთად (მაევსკი, ვუიჩიცკი და იალოხა) გამოდიან გამოცდილი ოსტატი კრული, ახალგაზრდები პავლაკი და ურბანოვიჩი. რუმინელებთან კარგად ითამაშეს ურბანოვიჩმა, რომელიც მეტად ენერგიულად მოქმედებდა, და ახოვანმა ვიუჩიცკიმ.

შარშანდელთან შედარებით მთლიანად გადახალისდა შუა ხაზი. აქ დარჩა მხოლოდ ერთი ცნობილი ოსტატი — ბუნცოლი. „პილკა ნოჟნას“ მიმომხილველის აზრით რუმინელებთან ბუნცოლმა თავის შესაძლებლობებზე გაცილებით ცუდად ითამაშა. იგი, როგორც ცნობილია, გუნდის დირიჟორია, ამიტომ ლიდერის სუსტი თამაში ამ მატჩში პოლონელებს ძვირად დაუჯდათ. დანარჩენი ნახევარმცველები: კენსი, ბუდა, ვიასი და პრუსიკი პოლონეთის ფარგლებს გარეთ ნაკლებად არიან ცნობილი, ორი მათგანი — ბუდა და ვიასი — ერთდროულად ოლიმპიურ ნაკრებშიც გამოდის.

მწვრთნელის მთავარი საზრუნავი თავდასხმა გახლავთ. სმოლიარეკის ტრავმამ მეტად გაართულა საქმე. მას შეცვლის საკმაოდ გამოცდილი თავდამსხმელი ივანი, რომელსაც ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში. 4 წლის შემდეგ, ესპანეთში, ივანმა ტრავმის გამო, მთელი ძალით ვერ ითამაშა, ახლა კი, პოლონური პრესის ცნობით სრულ საბრძოლო ფორმაშია. კერძოდ, ივანი საუკეთესო იყო რუმინელებთან შეხვედრაში და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც ძლიერად ატარებს. ბევრს მოელიან ახალგაზრდა ძეკანოვსკისგან, მაგრამ ეს იმედები ჯერჯერობით ნაკლებად მართლდება. მოსკოვის მატჩისათვის ემზადებოდნენ, აგრეთვე, თავდამსხმელები ოკონსკი და ფურტოკი.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რომელსაც ნაკრებში ასრულებს საერთაშორისო ფეხბურთის ვარსკვლავი ბონეკი. იგი ტურინის „იუვენტუსში“ შუა ხაზზე გამოდის, ნაკრებში კი თავდასხმის ლიდერია, როცა 1982 წლის ზაფხულში ბონეკი იტალიაში გადავიდა, „იუვენტუსმა“ პირობა დადო, რომ მას გაათავისუფლებდა ნაკრების ოფიციალური მატჩებისთვის, მაგრამ პოლონელთა ყოველი ასეთი საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ იტალიელები საქმეს აჭანჭლებენ, თუმცა განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ბონეკს მაინც რთავენ ნაკრებში გამოსვლის ნებას. პოლონელთა ნაკრების ახლანდელ შეკრებაზე ბონეკი, ცხადია, არ იმყოფებოდა, მაგრამ მატჩში მონაწილეობის მისაღებად პირდაპირ მოსკოვში ჩამოვიდა. იტალიელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ბონეკი ახლა საუკეთესოდ თამაშობს, იტალიის ჩემპიონატის სტარტზე იგი მეტად შესამჩნევი ფიგურაა.

გ. გამრეკელი.

* * *

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ საბჭოთა ფეხბურთელებმა საწვრთნელი მატჩი ლუჟნიკის სტადიონზე [illegible]ბით გამართეს. მეტოქეები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: **პირველი ნაკრები** — დასაევი, ლიტოვჩენკო, ჩივაძე, ბალტაჩა, დემიანენკო, ბუბნოვი, ოჰანესიანი, სულაქველიძე, გავრილოვი, ტარხანოვი, ბლოხინი. **მეორე** — ჩანოვი, ტერენინი, დემიდოვი, სილკინი, ბოროვსკი, ბურიაკი, ბალი, ევტუშენკო, პროტასოვი, ანდრეევი, შენგელია.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. ბურთები გაიტანეს გავრილოვმა (2), პროტასოვმა და ბურიაკმა (პენალტი).

სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების შეხვედრას I პროგრამით გადმოსცემს საკავშირო ტელევიზია დღეს, თბილისის დროით 18 საათზე.

* * *

ევროპის ჩემპიონატის II ჯგუფში დღეისათვის გუნდების მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	4	3	1	0	9—1	7
პორტუგალია	4	3	0	1	9—6	6
პოლონეთი	4	1	2	1	6—6	4
ფინეთი	6	0	1	5	3—14	1

* * *

გელზენკირხენი. 69 ათასი მაყურებელი დაესწრო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ავსტრიის გუნდებს შორის (VI შესარჩევი ჯგუფი).

დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა საკმაოდ იოლად მიაღწიეს გამარჯვებას — 3:0. ბურთები გაიტანეს კ.-ჰ. რუმენიგემ და ვიოლერმა (2).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ავსტრია	7	4	1	2	14—7	9
ჩრ. ირლან.	6	4	1	1	7—4	9
გფრ	5	3	1	1	8—2	7
თურქეთი	5	1	1	3	3—10	3
ალბანეთი	7	0	2	5	3—12	2

ოლიმპიურ სარბიელზე

გაიმართა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩები.

საბჭოთა ფეხბურთელებმა, როგორც ვიუწყებოდით, ათენში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს საბერძნეთის ოლიმპიური ნაკრები. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს კუზნეცოვმა, ჩერენკოვმა და კლემენტიევმა, ხოლო მასპინძელთაგან მატსიბონასმა.

საბჭოთა ოლიმპიურმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ვიაჩ. ჩანოვი, შიშკინი, ჟუპიკოვი, პოზდნიაკოვი, მილეშკინი, კუზნეცოვი, გოცმანოვი (მელნიკოვი), გრაჩოვი, ალეინიკოვი, ჩერენკოვი, გაზაევი (კლემენტიევი).

12 ოქტომბერს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდები.

სატურნირო მდგომარეობა შესარჩევ ჯგუფში ასეთია:

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	4	3	1	0	9—3	7
უნგრეთი	4	2	1	1	6—4	5
ბულგარეთი	2	0	2	0	3—3	2
საბერძნეთი	4	0	0	4	3—11	0

მიუნხენში ითამაშეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პორტუგალიის ოლიმპიურმა ნაკრებმა გუნდებმა. გაიმარჯვა დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა — 3:0, რომელიც თავის ქვეჯგუფში 3 მატჩის შემდეგ 4 ქულით ლიდერობს. პორტუგალიის ნაკრებს 2 მატჩში 2 ქულა აქვს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიელმა ფეხბურთელებმა როსტოკში შესარჩევი მატჩი მოუგეს ფინეთის ნაკრებს — 1:0. კოპენჰაგენში ერთმანეთს შეხვდნენ დანიისა და პოლონეთის ფეხბურთელები. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს პოლონელებმა. ჰოლანდიელმა ოლიმპიელებმა ამსტერდამში მიიღეს რუმინეთის ოლიმპიური ნაკრები და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 0:0.

I ლიგა

5 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მიიღო მოგილიოვის „დნეპრი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. პირველი ბურთი, 26-ე წუთზე, 11-მეტრიანით გაიტანა ებანოიძემ, ხოლო 46-ე წუთზე უგრელიძემ მეორედ აიღო სტუმრების კარი. დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქაირათი“	37	22	10	5	71-32	54
ასკ რ.	36	21	11	4	64-28	53
„ფაკელი“	36	17	11	8	41-26	45
„როტორი“	36	20	4	12	52-39	44
„კოლოსი“	36	16	12	8	60-40	44
„მეტალ.“	36	17	8	11	54-37	42
„ყუბანი“	37	14	11	12	54-43	39
„კუზბ.“	37	13	12	12	45-44	38
ასკ „კარ.“	36	13	12	11	39-38	38
„ტავრია“	37	13	11	13	68-60	37
„ზარია“	36	13	10	13	59-53	36
„ლოკომ.“	37	12	11	14	47-42	35
„პამირი“	36	12	10	14	41-51	34
„გურია“	36	15	3	18	44-69	33
„დაუგ.“	36	12	8	16	49-56	32
„ისკრა“	36	12	7	17	41-37	31
„ზვეზდა“	36	10	11	15	46-52	31
„შინიკი“	36	10	10	16	36-65	30
ასკ ხ.	37	9	12	16	27-46	30
„დნეპრი“	36	8	13	15	34-57	28
„ტექს.“	36	6	10	20	34-67	22
„დინამო“	36	5	11	20	27-51	21

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. **9 ოქტომბერი.** გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„შევარდენი“ (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი).** დასაწყისი 16 ს.

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

საფრანგეთი

11 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია ბორდოს „ჟირონდა“, რომელმაც 18 ქულა მოაგროვა. იგი 2 ქულით უსწრებს „ექსერსა“ და „მონაკოს“. ადრინდელმა ლიდერმა „ექსერმა“ ანგარიშით 0:1 წააგო „ტულონთან“.

ავსტრია

ნათამაშევია 6 ტური. „შტურმა“ (გრაცი) ფრედ ითამაშა სტუმრად ლინცის ასკ-სთან (0:0) და 11 ქულით კვლავ ლიდერობს.

გდრ

VI ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩმა ლაიფციგში, სადაც გათამაშების ლიდერმა „ლოკომოტივმა“ მიიღო „მაგდებურგი“. სტუმრებმა, რომელთა რიგებში, როგორც ყოველთვის, გამოირჩეოდა ეროვნული ნაკრების ცენტრფორვარდი შტრაიხი, გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ახლა 10-10 ქულით წინ არიან „მაგდებურგი“ და ბერლინის „დინამო“. 9 ქულა აქვს ლაიფციგის „ლოკომოტივს“, 8-8 ქულა — დრეზდენის „დინამოსა“ და ერფურტის „როტ-ვაისს“.

ჩეხოსლოვაკია

VII ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა პრაღის „დუკლამ“, ამჯერად ნიტრის „პლასტიკასთან“ 2:0. ამასობაში მისი უახლოესი მდევარი, პრაღის „სპარტა“ შეფერხდა (1:1) ტეპლიცეს „იუნიონთან“.

7 ტურის შემდეგ 13 ქულით წინაა „დუკლა“ (პრაღა). 10-10 ქულა მოაგროვეს „სპარტამ“ (პრაღა) და „დუკლამ“ (ბანსკა ბისტრიცა).

პოლონეთი

„ლეხმა“ (პოზნანი) IX ტურში კრაკოვში სტუმრად წააგო „კრაკოვიასთან“ — 0:1, ლოძის „ვიძევმა“ ფრედ (0:0) ითამაშა ხოჟუვში „რუხთან“ და დაეწია „ლეხს“. ახლა ორივეს 14-14 ქულა აქვს.

ბულგარეთი

VI ტურში ორივე ლიდერმა გაიმარჯვა: „ლევსკი-სპარტაკმა“ (სოფია) „შუმენთან“ — 3:0, ხოლო ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ“ — სოფიის „სლავიასთან“ — 2:0.

ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ და „ლევსკი-სპარტაკი“ კვლავ წინ არიან 11-11 ქულით.

უნგრეთი

ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ ერთმანეთის მიყოლებით გაიმართა VII ტურის 2 მატჩი დედაქალაქის გუნდებს შორის. „დოჟაუიპეშტმა“ და „ვაშაშმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1, ხოლო „ჰონვედმა“ ანგარიშით 3:0 სძლია „ფერენცვაროშს“.

7 ტურის შემდეგ 10-10 ქულა მოაგროვეს „ჰონვედმა“, „დოჟაუიპეშტმა“ და ტატაბანიის „ბანიაშმა“.

მოკლედ

ამ დღეებში გაიმართა საინტერესო საერთაშორისო ამხანაგური მატჩები.

საფრანგეთის ნაკრებმა პარიზში მიიღო ესპანეთის გუნდი. ანგარიში გახსნა ფრანგმა როშტომ, საპასუხო ბურთი პენალტით გაიტანა სენორმა — 1:1.

იტალიელმა ფეხბურთელებმა ქ. ბარიში ითამაშეს საბერძნეთის ნაკრებთან და გაიმარჯვეს — 3:0. ბურთები გაიტანეს ჯორდანომ, კაბრინიმ და როსიმ. იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ ნაკრების მწვრთნელმა ე. ბეარზოტმა მსოფლიო ჩემპიონთა შემადგენლობაში გამოიყვანა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი (ბორდონი, გალი, ვერხოვოდი, ბანი, ბარესი, ანკელოტი და დოსენა).

აფრიკის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდნენ „აშანტი კოტოკო“ (განა), „ნეიშნლი“ (ეგვიპტე), „ნკანა რედ დევილსი“, (ზამბია) და „დიარაფი“ (სენეგალი).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ჩოგბურთი

პირველი ღია ჩემპიონატი

ბათუმში დამთავრდა საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. შეჯიბრება, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლის თავს, გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს ბათუმის ახლახან რეკონსტრუირებულ კორტებზე.

შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ ლენინგრადის, კიევისა და სომხეთის წარმომადგენლები, რომლებიც აქ საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ხარკოვიდან ჩამოვიდნენ. თბილისელ სპორტსმენებს კი, რომლებიც რესპუბლიკის ჩემპიონატების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, ამჯერად აკლდათ წამყვანი ჩოგბურთელები. საპატიო მიზეზი ჰქონდა მხოლოდ ლეილა მესხს (მან ხარკოვში ტრავმა მიიღო), მაგრამ სად იყვნენ ჩვენი გამოცდილი ოსტატები მარინე და ირინე მალაციძეები, მ. ელერდაშვილი, ვ. ხურდა, ვ. ბაქში, გ. ელერდაშვილი, მ. სალარაძე, რ. გევორქიანი და სხვები? მათგან ხომ ბევრ სასარგებლოს ისწავლიდა ახალგაზრდობა.

შეჯიბრების დღეებში ავად გახდა ჩვენი ვეტერანი ნ. თუხარელი, რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონატებში მონაწილეობის 20 წლის მანძილზე პირველად დარჩა საპრიზო ადგილის მიღმა. თბილისელმა დინამოელმა ვ. გაბრიჩიძემ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ჩახუნაშვილი) ლამაზ სტილში სძლია სომხეთის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ა. ხაჩატრიანს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ჩვენს რესპუბლიკას მეორე ოქროს მედალი მოუტანა ი. მეტრეველმა, რომელმაც შერეულ წყვილთა თანრიგში კიეველ ტ. ბულენინასთან ერთად გაიმარჯვა.

ქალთა ერთეულთა თანრიგში უძლიერესის სახელი მოიპოვა ლ. ოვსეფიანმა (სომხეთი), რომელმაც ფინალში დაამარცხა ტ. ბულენინა, ხოლო ქალთა წყვილებში პირველნი იყვნენ ოვსეფიანი და ბულენინა. ფინალურ მატჩში მათ სძლიეს ნ. ივანოვა (ლენინგრადი) — ი. ანტონიანის („დინამო", თბილისი) დუეტს.

ვაჟთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ სომხეთის ჩოგბურთელები ა. შილაჯიანი და ა. ხაჩატრიანი, რომლებმაც მწვავე ბრძოლაში დაამარცხეს ჩვენი ახალგაზრდა ოსტატები ი. მეტრეველი და გ. ელერდაშვილი. ბრინჯაოს მედლები [illegible] ვ. გაბრიჩიძისა და [illegible] წყვილს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი თბილისელი ოსტატებისთვის წარმატებული გამოდგა. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მოწვეული სტუმრებისა და თბილისელებს გარდა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების, რაიონებისა და ქალაქების წარმომადგენლები. თუ არა რესპუბლიკურ ჩემპიონატებში, მაშ სად უნდა შეიძინონ ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა გამოცდილება?

ა. მალაიანცი,
შეჯიბრების მთავარი მდივანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ტატამზე შხმოვან... ქალებს

არა მარტო „ნამდვილი მამაკაცები", დღეს ბავშვები და ქალებიც კი არიან გატაცებული ჭიდაობა ძიუდოთი. ასე რომ, სპორტის ეს სახეობა „ყველასათვის ხელმისაწვდომია" — ასე მიაჩნია ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანს ჰაინც კემპს.

— ჩვენთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, — განაცხადა მან საკდესის კორესპონდენტთან საუბარში, — 50 ათასი ძიუდოისტია აღრიცხული. მათგან ნახევარი ბავშვები და მოზარდები არიან.

ბავშვები სპორტის ამ სახეობაში მეცადინეობას იწყებენ 9-10 წლის ასაკში. მეცნიერთა აზრით, ამ ხნის მოზარდი მშვენივრად ითვისებს ტექნიკის ანბანს. ეს არის, საწვრთნელ პროცესს სწორი მიმართულების მიცემა სჭირდება. შემჩნეულია, რომ ბავშვები სიამოვნებით ვარჯიშობენ ძიუდოში — სპორტის სახეობაში, რომელსაც ახასიათებს ისეთი კომპონენტები, როგორიც არის რეაქციის სისწრაფე, მოხერხებულობა, აგრეთვე, ინტელექტი. ეს ყველაფერი იტაცებს ბავშვებს, რომლებიც ისწრაფვიან დაამარცხონ მეტოქე არა მხოლოდ ძალის ხარჯზე, არამედ ეშმაკობით, ტექნიკური მოქმედებით.

დაახლოებით 1960 წლიდან გდრ-ში გაჩნდნენ ძიუდოისტი ქალებიც. მაშინ არავის არ მოუვიდოდა აზრად, რომ ამ სახეობის პოპულარობა ქალებს შორის აგრერიგად დინამიურად, შეუჩერებლად გაიზრდებოდა. ახლა ამ ქვეყანაში ძიუდოში მოვარჯიშეთა მთელი რაოდენობის მეხუთედი ქალები არიან. სექციებში მათი რაოდენობა 11 ათასს აღწევს. ქალთა ძიუდოს პოპულარობის ზრდის ტენდენცია ბევრ სხვა ქვეყნებშიც შეინიშნება. კემპის თქმით, 68 ქვეყანამ აცნობა საერთაშორისო ფედერაციას, რომ მათთან მოქმედებს ქალთა სექციები ძიუდოში. ეწყობა 4 კონტინენტის ჩემპიონატები, დიდი საერთაშორისო ტურნირი ქალთა შორის გაიმართება წლის ბოლოს იაპონიაში. ტარდება, აგრეთვე, მსოფლიოს ჩემპიონატები. II ჩემპიონატში, რომელიც შარშან პარიზში მოეწყო, 66 ქვეყნის წარმომადგენელი ძიუდოისტი ქალი ასპარეზობდა.

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ავტომობილისტი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 5:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: ჯინჭარაძე-2, ღურჭუმელია, ნარიაშვილი, ოჩარაშვილი.

„ჰერეთი" (ლაგოდეხი)—„სპარტაკი" (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

გოლები: ფოფხაძე-2 („ჰერეთი"), მაისურაძე („სპარტაკი").

„ივერია" (ხაშური) — „მადნეული" (ბოლნისი) 4:1. მსაჯი ბ. ჩერნიახოვსკი (სოხუმი).

გოლები: ლამბაშიძე, ოსაძე, ლომსაძე, ახალკაცი („ივერია"), ბახმალოვი („მადნეული").

„სპარტაკი" (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 5:1. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).

გოლები: ა. ჯიოევი-2, მოწონელიძე, შავლახოვი, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი"), ჩიქობავა (ფიზკ. ინსტ.).

„კახეთი" (თელავი) — „თორი" (ბორჯომი) 1:0. მსაჯი ჯ. ნოდია.

ბურთი გაიტანა რაზმაძემ.

„არმაზი" (მცხეთა) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

გოლები: სკრობა („მეტალურგი"), სოლოღაშვილი („არმაზი").

„სამგორი" (გარდაბანი) — „შევარდენი" (თბილისი) 0:2. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

გოლები: ქობელაშვილი („შევარდენი"), ძიმისტარაშვილი („სამგორი").

„ალაზანი" (გურჯაანი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 3:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

გოლები: მ. და ა. არევაძეები, ქადაგიშვილი.

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „სპარტაკი" (თბილისი) 2:1. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (გურჯაანი).

გოლები: რომელაშვილი, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი", ცხ.), კირაკოსიანი („სპარტაკი" თბ.).

დასავლეთი ზონა

„მზიური" (გალი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 3:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

გოლები: ოსტროვსკი, კაკავა, ზაქარაია.

„ენგური" (ზუგდიდი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).

ბურთი გაიტანა როგავამ.

„საირმე" (მაიაკოვსკი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი ა. ბოჭორაძე (თბილისი).

ბურთი გაიტანა მარტიაშვილმა.

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „სულორი" (ვანი) 0:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

„სამგურალი" (წყალტუბო) — „სქური" (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

გოლები: ქვირია, გორგოძე.

„ეგრისი" (ცხაკაია) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

„დინამო" (გაგრა) — „კოლხეთი" (ხობი) 5:1. მსაჯი ი. ბარბაქაძე (მცხეთა).

გოლები: ბენიძე-2, მანასიანი, ტესლენკო, კაჰარავა („დინამო"), ქომეთიანი („კოლხეთი").

„შუქურა" (ქობულეთი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:0. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).

გოლები: გოგიტიძე, ლონლაძე.

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „ენგური" (ზუგდიდი) 1:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).

საქართველოს ფეხბურთი

ბურთი გაიტანა ოსეფაიშვილმა.

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 5:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: ციმაკურიძე-2, ჯ. ახალაია, ვ. სიჭინავა, ალთუნაშვილი („სამეგრელო"), ფარულავა („საპოვნელა").

შენიშვნა: საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციის გაერთიანებულმა სხდომამ ხელმეორედ განიხილა ზუგდიდის „ენგურის" საკითხი. გამოირკვა, რომ ზუგდიდის „ენგურისა" და წყალტუბოს „სამგურალის" მატჩის მსაჯებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს სამმართველოსა და ფედერაციას, რის გამოც „ენგური" რესპუბლიკური გათამაშებიდან მოიხსნა. საკითხის ხელმეორედ განხილვისას სხდომამ შესაძლებლად მიიჩნია ზუგდიდის „ენგური" აღადგინოს საქართველოს პირველობაზე.

გათამაშების ცხრილები

დასავლეთი ზონა

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მზიური"	30	17	5	8	52-30	39
„სამგურ."	28	16	6	6	53-26	38
„დინ." ზ.	30	16	6	8	53-40	38
„სულორი"	30	15	7	8	51-37	37
„საპოვნ."	30	14	8	8	53-35	36
„ამირანი"	30	12	7	11	52-61	33
„სამეგრ."	30	13	4	13	56-42	30
„სქური"	30	12	6	12	39-50	30
„დინ." გ.	31	11	6	14	50-62	28
„იმერეთი"	29	10	8	11	48-46	28
„ბახმ."	31	10	8	13	30-40	28
„სალხინო"	30	9	10	11	44-55	28
„კოლხ."	30	8	12	10	48-56	28
„ეგრისი"	30	9	8	13	46-51	26
„საირმე"	30	10	5	15	38-45	25
„მალარ."	28	9	7	12	44-41	25
„მეტალ."	29	8	9	12	48-45	25
„შუქურა"	30	7	8	15	47-67	22
„ენგური"	26	8	4	19	21-46	20

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

„კახეთი"	28	17	6	5	49-22	40
„მეტალ."	28	16	7	5	56-23	39
„ჰერეთი"	28	15	8	5	50-30	38
„ივერია"	28	14	6	8	47-35	34
„ავტომ."	26	12	9	5	43-22	33
„არმაზი"	29	12	7	10	43-45	31
„შევარ."	27	11	9	7	38-21	31
„სპარ." ცხ.	28	13	3	12	58-50	29
„მადნ."	28	11	6	11	47-35	28
„დურუჯი"	26	10	8	8	50-41	28
„თორი"	28	9	10	9	34-37	28
„სამგორი"	29	8	12	9	38-36	28
„სპარ." თბ.	27	8	9	10	52-44	25
პოლ. ინს.	27	4	16	7	30-42	24
ფიზ. ინს.	28	7	6	15	31-47	20
„ქართლი"	27	5	9	13	35-68	19
„ალაზანი"	28	7	4	17	43-65	18
„ლოკომ."	28	2	1	25	19-100	5

11-მეტრიანი უდისციპლინოთა კარში

ოქუმის „ნაპერწკლის" ფეხბურთელმა გ. ჩხაპელიამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც იგი გააძევეს მინდვრიდან, ხოლო მისი თანაგუნდელი თ. როგავა გააფრთხილეს (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. გოგუა).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს თბილისის „სპარტაკის" ფეხბურთელი ჯ. მახარაშვილი, მისი თანაგუნდელი ო. კირაკოსიანი კი გააფრთხილეს (სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ო. კალაძე).

სხვადასხვა დანაშაულისთვის გააფრთხილეს შემდეგი ფეხბურთელები: ვ. ონიანი (ლაგოდეხის „ჰერეთი", სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. ჯალიაშვილი), ა. შენგელია (ზუგდიდის „ენგური", სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. ხორავა), პ. კიტეშვილი (რუსთავის „მეტალურგი", სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნაჭყებია), ნ. ანსიანი (მცხეთის „არმაზი", სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. ბერიძე), მ. ჯაფარიძე ([illegible] (ბოლნისის „მადნეული", სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. კორძაძე), ნ. მათიაშვილი (ჩოხატაურის „ბახმარო", სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ჩხაკვაძე).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

მ. ვ. მაჩაბელი

ქართველ ვეტერან ფეხბურთელთა რიგებს გამოაკლდა სკპ წევრი 1947 წლიდან მიხეილ ვასილის ძე მაჩაბელი.

იგი დაიბადა 1910 წელს თბილისში, მუშის ოჯახში. აქ სწავლობდა, აქვე ეზიარა ფეხბურთს. 1940 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, მუშაობდა სპეციალობით, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

1925-1935 წლებში თამაშობდა ფეხბურთს, კერძოდ, გამოდიოდა თბილისის „მეტალისტში". სხვადასხვა დროს იყო ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის წევრი, რკინიგზის ტრანსპორტზე და ფეხბურთში გაწეული საქმიანობისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებები.

1920-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად თბილისში ჩამოვიდნენ გერმანიის მუშათა გუნდის ფეხბურთელები, რომლებიც შეხვდნენ ადგილობრივ „მეტალისტს". საინტერესო მატჩი მოიგო „მეტალისტმა" — 1:0, ეს ერთადერთი ბურთი სტუმრების კარში გაიტანა მარჯვენა ფორვარდმა მიხეილ მაჩაბელმა.

მ. მაჩაბელი იყო თავის საქმეზე შეყვარებული, ენერგიული, კეთილსინდისიერი ადამიანი, მისი სახელი მუდამ ემახსოვრებათ მის ახლობლებს და მეგობრებს.

საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები.

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 41-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 30 (ძალოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 35 (ბალახის ჰოკეი), 40 (ბადმინტონი), 42 (წყალსათხილამურო სპორტი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 6 (ძიუდო), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სპორტკომიტეტი, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია, „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა რესპუბლიკის ექსჩემპიონი და რეკორდსმენი

ილია დავითის ძე შუქუროვი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შეჩერდა დრო, სპორტსმენი გაირინდა... წამიც და თავის გამოსვლას განაგრძობს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში დალია კუტკაიტე (ლიტვა).

საქინფორმის ფოტოქრონიკა.





უსიტყვოდ...

ჟურნალი „სტადიონი" (ჩეხოსლოვაკია).

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე — 07842